

## სავარჯიშო 3

### მონაცემთა შეყვანა და მართვა

#### თემები:

პერსონალური გეომონაცემთა ბაზა:პერსონალური გეომონაცემთა ბაზის სტრუქტურა და ტოპოლოგია;  
პერსონალური გეომონაცემთა ბაზის მართვა: მისი შექმნა, “Feature classes”-ების გადატანა, ახალი “Feature classes”-ების შექმნა.  
მონაცემთა შეყვანა: სივრცული და ატრიბუტული მონაცემების დამატება;

#### შესავალი

ამ სავარჯიშოში ჩვენ გავხილივათ როგორ არის მოთავსებული სივრცული და ატრიბუტული მონაცემები “გის”-ში. შემდეგ ვივარჯიშებთ მონაცემების შეყვანაზე “გის”-ში. პრაქტიკული მეცანიერების დროს ჩვენ ვიმუშავებთ პერსონალურ გეომონაცემთა ბაზებში. პერსონალურ გეომონაცემთა ბაზები-ბაზები რომლებშიც გეოგრაფიული ინფორმაციაა მოცემული

არსებობს ორი სახის გეომონაცემთა ბაზა: პერსონალური და ფართ (ArcSDE) მონაცემთა ბაზები. პერსონალური გეომონაცემთა ბაზები—მომაცემები მოთავსებულია “MS Access”-ში. ფართო გეომონაცემთა ბაზები—მონაცემები მოთავსებულია “Oracle”, “SQL server”, “Informix”, “DB2” მონაცემთა ბაზებში, რომლებიც დაკავშირებულია “ArcGIS”-თან “ArcSDE (Spatial data engine)-ის მეშვეობით. ამ კურსის ფარგლებში ჩვენ პერსონალურ გეომონაცემთა ბაზებში ვიმუშავებთ.

ამ სავარჯიშოში ჩვენ განვიხილავთ:

- არსებული გეომონაცემთა ბაზის სტრუქტურას
- შევქმნით და ვმართავთ ახალ გეომონაცემთა ბაზას
- განვიხილავთ ტოპოლოგიას გეომონაცემთა ბაზებთან ერთად
- დავამატებთ მარტივ სივრცულ-წერტილოვან, ხაზოვან და პოლიგონალურ და ატრიბუტულ მონაცემებს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

### მონაცემთა შეყვანა და მართვა

მონაცემთა შეყვანა და მართვა არის ამოცანა რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მთელი “GIS” სამუშაოსთვის. მონაცემები უნდა იყოს შეყვანილი და მოთავსებული სწორ ციფრულ ფორმატში, რომ გავაკეთოთ “GIS” ანალიზი. სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული მონაცემთა შესაყვანად. მონაცემები შეიძლება შეყვანილი იქნას პირდაპირ ველიდან “GPS”-ის (Global Positioning Systems) და სატელიტური სურათების გამოყენებით. მონაცემები ასევე შეყვანილი შეიძლება იყოს ანალოგ ფორმატისგან (არსებული რუკები....), მათი დასკანერებით და აციფვრით.

სივრცული მონაცემები და მათი ატრიბუტული მონაცემები მოთავსებულია სხვადასხვაგარი სახით, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ისინი ცხრილური სახით გვხვდება.

### რა უნდა გავაკეთოთ:

დავათვალიეროთ არსებული გეომონაცემთა ბაზის სტრუქტურა.

შევქმნათ ახალი გეომონაცემთა ბაზა, ახალი “Feature dataset” და კოპირება გავუკეთოთ, ასევე ექსორტი უკვე არსებულ “Feature classes” ახალ “Feature dataset”-ში.


ავაგოთ ტოპოლოგია გეომონაცემთა ბაზაში.

დავამატოთ გამოტოვებული შენობების პოლიგონები და მათი ატრიბუტილი მონაცემები.

შევქმნათ ახალი წერტილოვანი ფენა და ავციფროთ რამდენიმე ობიექტი.

### “Toolbars”

ამ სავარჯიშოში ჩვენ გამოვიყენებთ როგორც “ArcCatalog”-ს, ასევე “ArcMap”-ს. ქვემოთ თქვენ ხედავთ ინტერფეისის ელემენტებს, რომლებსაც ძალიან ხშირად ვიყენებთ.



“Editor Toolbar”-დან ჩვენ შეგვიძლია მოვნიშნოთ “More Editing Tools”---“Topology”




## გეომონაცემთა ბაზები

### გავხსნათ “ArcCatalog”

დამაკავშირებელი ღილაკის გამოყენებით  დავაკავშიროთ საქალალდე “Daraentryex”;

გავხსათ “ITCwest”-გეომონაცემთა ბაზა;



მოვნიშნოთ Feature class “buildings”, დავათვალიეროთ მონაცემები ყურადღებით.

კითხვა: რამდენი პოლიგონია ამ feature class-ში?

რამდენი ჩანაწერია ატრიბუტულ ცხრილში?

შევადაროთ პოლიგონების და ჩანაწერების რაოდენობა ერთმანეთს?

იგივე კითხვებს ვუპასუხოთ feature class “roads”-ის გათვალისწინებით.

პერსონალური გეომონაცემთა ბაზები არის ურთიერთდაკავშირებული მონაცემთა ბაზები, რომლებიც შეიცავს ცხრილებს რომ განთავსებული იქნას, როგორც სივრცეული, ასევე ატრიბუტული მონაცემები. მაგალითად შეიძლება გაქონდეს გზების ობიექტები, მაგრამ სხვა ცხრილი შეიძლება მოიცავდეს მიწის ნაკვეთებს. პერსონალური გეომონაცემთა ბაზები, რომლებზედაც ჩვენ ვსაუბრობთ არის “Microsoft Access Database”-ში.

ჩვენ დავათვალიერებთ “Testwest” პერსონალურ გეომონაცემთა ბაზას “Microsoft Access Database”-ში. ეს მოგვცემს უკეთეს წარმოდგენას იმაზე, რომ სივრცეული მონაცემები როგორ არის მოთავსებული და მართული “გის”-ში.


გავხსნათ “Microsoft Access Database”;

მოვნიშნოთ: “File”- “Open” .გავხსნათ “Testwest”პერსონალურ გეომონაცემთა ბაზა;

გავხსნათ “buildings”, “roads” ცხრილები;

ჩვენთვის ნათელია რომ პერსონალური გეომონაცემთა ბაზა არის მარტივი “MS Access”-ის ურთიერთდაკავშირებული მონაცემთა ბაზა, სადაც სივრცული მონაცემების გრაფიკული და ატრიბუტული მონაცემები ცხრილებშია განთავსებული. ჩვენ ასევე შეგვიძლია ვნახოთ სხვა ცხრილები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მონაცემთა ბაზის სხადასხვა თვისებების შესახებ.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რომ პერსონალური გეომონაცემთა ბაზები, ერთ-ერთი შესახლებლობაა სივრცული და ატრიბუტული ინფორმაციის განთავსებისთვის, სხვა “GIS” აპლიკაციები იყენებენ სხვადასხვა სახის ფაილებს გეოგრაფიული ინფორმაციის განსათავსებლად.



## პერსონალური გეომონაცემთა ბაზის მართვა

უკეთესად რომ ვმართოთ მონაცემები, მჯობესია, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული მონაცემები ერთ მონაცემთა ბაზაში მოვათავსოთ. მაგრამ ზოგჯერ გვჭირდება რომ შევქმნათ ცალკე ახალი გეომონაცემთა ბაზა და მასში შევიტანოთ მონაცემთა ნაწილი ორიგინალური მონაცემთა ბაზისგან.

### ახალი გეომონაცემთა ბაზის შექმნა

მოვნიშნოთ საქაღალდე “dataentryex”, მარჯვენა ღილაკით დავაწყაპოთ, მენიუს ჩამონათვალში მოვნიშნოთ “New”- “Personal Geodatabase”;

ახალ გეომონაცემთა ბაზას მივცეთ შესაბამისი სახელი, მაგ. ”Mywork”;



ახლად შექმნილი გეომონაცემთა ბაზა ცარიელია, მასში შევიტანოთ “buildings”, “roads”;

“Copy”-“Paste”-ის დახმარებით შევასრულოთ ეს პროცესი.

ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ რომ ეს ორი ობიექტთა კლასი მოთავსებულია პირდაპირ გეომონაცემთა ბაზაში, ე.წ. “Feature dataset”-ის გარეშეამ შემთხვევაში ცალკეულ ობიექტთა კლასს შეუძლია ქონდეს განსხვავებული კოორდინატთა სისტემა. თუ ჩვენ გვაქვს რამდენიმე ობიექტთა კლასი ერთნაირი საკოორდინატო სისტემით, მაშინ ისინი შეგვიძლია დავაჯგუფოთ ერთ “Feature dataset”-ში, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია დავაჯგუფოთ რამდენიმე ობიექტთა კლასი, სხვადასხვა საკოორდინატო სისტემით ერთ “Feature dataset”-ში. როდესაც ობოექტთა კლასები დაჯგუფებული არიან “Feature dataset”-ში, მათ აქვთ ტოპოლოგიური მთლიანობა ერთმანეთს შორის. ამის შესახებ მოგვიანებით ვიმსჯელებთ.

### ახალი “Feature dataset”-ის შექმნა

მოვნიშნოთ “Mywork” პერსონალური მონაცემთა ბაზა. მარჯვენა ღილაკით დავაწყაპოთ, მენიუ ფანჯარაში მიენიშნოთ “New”- “Feature dataset”, დავარქვათ შესაბამისი სახელი “Mywork-dataset”;

ახალი “Feature dataset”-ის საკოორდინატო სისტემის განსაზღვრისთვის მოვნიშნოთ “Edit” ღილაკი;

მოვნიშნოთ ღილაკი “Import”. მოვნიშნოთ “building”---“Add” ღილაკი. შეგვიძლია დავინახოთ და დავათვალიეროთ საკოორდინატო სისტემის შესახე დეტალური ინფორმაცია;




**"buildings", "roads"-ების ექსპორტირება ახლადშექმნილ "Feature dataset"-ში**

მოგნიშნოთ "buildings", მარჯვენა ღილაკით დავაწყაპოთ, მენიუს ფანჯარაში მოგნიშნოთ "Esport"-“To Geodatabase(single)”, "Feature class to Feature class" ფანჯარა გაიხსნება;

მოგნიშნოთ საქალალდეს ღილაკი და მივუთითოთ მისამართი, სადაც გვიჩვრომ ექსპორტი გავუკეთოთ აღნიშნულ ობიექტთა კლასს.

დაგწეროთ სახელი "My buildings"---"Output Feature Class Name"-ში, "OK";

გავიმეორ თ იგივე პროცედურა "roads"-სთვის;



როდესაც დავასრულებოთ ამ პროცესს, ესეთი სურათი უნდა მივიღოთ;



წაგშალოთ "buildings", "roads", ობიექტთა კლასები "Mywork" გეომონაცემთა ბაზიდან.;

მოვნიშნოთ "buildings", მარჯვენა ღილაკით დაგაკლიკოთ, მენიუს ფანჯრიდან მოვნიშნოთ ბრძანება "Delete" და წაგშალოთ აღნიშნული ობიექტთა კლასი;

იგივე გავიმეოროთ "roads"-სთვის;

### მონაცემთა შეყვანა და რედაქტირება

ავტოფრთო შენობების ახალი პოლიგონები.

თუ მოვათავსებთ "buildings"- "Feature class"-ს სატელიტური სურათის ზემოთ(იგივე ტერიტორია), ჩვენ შეგიძლია დავინახოთ ყველა შენობა, რომელიც მოცემულია სატელიტურ სურათზე.




ერთიდაიმავე ტერიტორიის მომცველი ორი ფენა რომ გავგხსნათ(მაგ.ობიექტთა კლასი,სურათი და ა.შ.) მათ უნდა ქონდეთ ერთნაირი საკოორდინატო სისტემა.

გავხსნათ “ArcMap”;

დავამატოთ “buildings”,“roads”, სატელიტური სურათი. ამ ყველაფერს თქვენ საჭალალდე “Dataentryex”-ში ნახავთ;

“ArcMap”-ში მოვნიშნოთ “View”—“Toolbar”---“Editor”;

“Editor Toolbar”-ში მოვნიშნოთ “Editor”---“Start Editing”;




### დავიწყოთ აციფვრა

მივაქციოთ ყურადღება რომ “buildings”-“Feature class” არის გააქტიურებული “target layer”-ში;

ასევე “Task”-ში-----“Create New Feature”;

“Editor toolbar”-ში მოვნიშნოთ “Sketch tool” დავიწყოთ აციფვრა.



როდესაც დავამთავრებთ ორივე პოლიგონის აციფვრას, შევამოწმოთ საერთო საზღვარი ამ ორი პოლიგონის.

**მართებულად არის აციფრული მოხაზურე საზღვარი?**


ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელი ავციფროთ წერტილები ისე, რომ ისინი ზუსტად ერთმანეთის იდენტურ ადგილას იყოს თუ არ გამოვიყენებთ სპეციალურ იარაღს, რომელიც ამაში დაგვეხმარება.

თავიდან ავციფროთ უკვე აციფრული ორი პოლიგონი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვიყენებთ “snapping tool”-ს. ეს იარაღი საშუალებას გვაძლევს, რომ დახაზვა დავიწყოთ არსებული ობიექტის ზუსტი ადგილიდან. ეს იარაღი ძალიან გვეხმარება ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტების აციფვრაში, როდესაც ასაციფრი ობიექტი უნდა იყოს მისნებაებული “vertex”, “edge” ან სხვა არსებულ ობიექტთან. სვადახვა “snapping tolerance” შეგვიძლია შევარჩიოთ. ტოლერანსი განსაზღვრავს მანძილს ობიექტთა შორის, რომლებიც უნდა იყოს მისნებაებული.


შევწყვიტოთ აციფვრა, ისე რომ არ შევინახოთ უკვე აციფრული ობიექტები.

მოვნიშნოთ “start editing”;


“Editor toolbar”---“Editor”---“Snapping”; ახალი ფანჯარა გაიხსნება, გავააქტიუროთ “edge” ---“buildings”-ის გასწვრივ;



მოვნიშნოთ “Editor toolbar”---“Editor”---“Options....”, გაიხსნება ახალი ფანჯარა, მოვნიშნოთ “General”---“Snapping Tolerance”-ში მიღუთითოთ “8” და “map units”;



გამოვიყენოთ “Sketch tool”, რომ ავციფროთ ისევ თრი ერთმანეთის მოსაზღვრე პოლიგონი;



“Snapping” კარგი იარაღია ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტთა აციფრისთვის, მაგრამ ის არ არის ოპტიმალური გადაწყვეტლება მეზობელი პოლიგონების აციფრისთვის. როდესაც მათ არ აქვთ სწორი, ხაზოვანი საერთო საზღვარი, ჩვენ გვიწევს ორჯერ მთელი საზღვრის აციფრა, რაც დიდ დროს მოითხოვს.

ამის გამო ესეთ სიტუაციებში უნდა გამოვიყენოთ “Auto Complete Polygon tool”. რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ისე ავციფროთ თრი მოსაზღვრე პოლიგონი, რომ თრჯერ არ ავციფროთ მათ შორის მდებარე საზღვარი.

შევწყვიტოთ რედაქტირება, ისე, რომ არ შევინახოთ ჩვენი ნამუშევარი.

გამოვიყენოთ “Auto Complete Polygon”, რომ ავციფროთ თრი მოსაზღვრე პოლიგონი

“Start editing”;

“Editor toolbar”---“Task”---“Auto Complete Polygon”;

მოვნიშნოთ “Sketch tool” და დავაწაპოთ ერთმანეთის მოსაზღვრე წერტილზე (A ან B). შემდეგ ავციფროთ პოლიგონი და საბოლოოდ ორჯერ დავაწაპოთ მეორე საერთო წერტილზე (A ან B). რომ შევკრათ პოლიგონი; გავიმეოროთ იგივე პროცედურა მეორე პოლიგონისათვის;



ესლა დავამატოთ ატრიბუტული მონაცემები("land use" ინფორმაცია) ახლად აციფრულ პოლიგონებს.

#### დავამატოთ ატრიბუტული მონაცემები

გამოვიყენოთ “Edit Tool” , რომ მოვნიშნოთ ახლადაციფრული პოლიგონები და მოვნიშნოთ “Attributes button” . ატრიბუტული ფანჯარა გაიხსნება და გელი-“landuse”-ის გასწვრივ ჩავწეროთ “commercial” და დაგხუროთ ფანჯარა;

გამოვიყენოთ “Identify tool” | ახალ პოლიგონზე, და ჩვენ დავინახავთ ჩვენს მიერ რედაქტირებულ ატრიბუტულ მონაცემებს.

| Attributes |  |
|------------|--|
|            |  |
| buildings  | Property   |
| + 18       | Value  |
|            | OBJECTID 18  |
|            | TDN_CODE <Null>  |
|            | type <Null>  |
|            | landuse commercial   |
|            | Shape_Length 162,43  |
|            | Shape_Area 1586,637  |
| 1 features |  |
|            | <input type="button" value="&lt;"/> <input type="button" value="&gt;"/> <input type="button" value="!"/> |

მოვნიშნოთ “Editor toolbar”---“Editor”---“Stop Editing”,

ასევე შეინახეთ რუკის დოკუმენტი თქვენს პერსონალურ საქაღალდეში;


### გეომონაცემთა ბაზების ტოპოლოგია

ტოპოლოგია დამოკიდებულია შესაბამის გრაგიკულ გამოსახულებასთან.ყველა ობიექტის შესაბამისი გეომეტრიული კოორდინატები მოთავსებულია მონაცემთა ბაზებში და თუ გრაფიკული გამოსახულების ნაწილი გვხვდება როგორც ორი ობიექტის საერთო ელემენტი,იგი გვხვდება ორჯერ მონაცემთა ბაზაში.

პირველად ჩვენ გამოვსახავთ ახალი გეომონაცემთა ბაზის მონაცემებს, რომლებიც ჩვენ მივიღეთ.

გავხსნათ რუკის დოკუმენტი “Topology.mxd”;

დავაკვირდეთ ორ მეზობელ პოლიგონს, რომელთა შორის არის სიცარიელე,იგი წარმოადგენს აციფრის დროს დაშვებულ შეცდომას.




### შევქმნათ ახალი ტოპოლოგია

დავხეროთ “ArcMap” და გავხსნათ “ArcCatalog”;

მოვნიშნოთ გეომონაცემთა ბაზა “additional \_data”, “Feature dataset”----“Topography”.დავაწყაპოთ მარჯვენა ღილაკით,მოვნიშნოთ “New”---“Topology”;

ახალი ფანჯარა გაიხსნება,მივუთითოთ “Next”,შემდეგ ფანჯარაში შევიყვანოთ “Name”---“Topology”, “Cluster Tolerance”---0.09.( “Cluster Tolerance” აღნიშნავს მანძილის არეალს,რომელშიც ვერტექსები განიხილება ,ამ ტოლერანსით ისინი მიესწოდება ერთმანეთს; შემდეგ მივუთითოთ “Next”;




შემდეგ ფანჯარაში ჩვენ უნდა მოვნიშნოთ სამივე ობიექტთა კლასი("buildings", "roads", "water areas"), შემდეგ ---"Next";

შემდეგ უნდა განვსაზღვროთ "Ranks", იგი აკონტროლებს რამდენი ობიექტია კავშირში ხსვა ობიექტებთა(ხსვა ობიექტთა კლასიდან). რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, უფრო ცოტა ობიექტი იღებს მონაწილეობას;

შევიტანოთ: "Rank"---3; "roads"---3; "buildings"---2; "water areas"---1; შემდეგ "Next";

ეხლა ჩვენ უნდა შევქნათ ტოპოლოგიური წესები; მოვნიშნოთ დილაკი "Add rule"; პირველი წესი: მოვნიშნოთ "buildings"---"Must not overlap"---"Ok"; მეორე წესი: "buildings"---"Must not overlap with"---"water areas"---"Ok"; შემდეგ მოვნიშნოთ "Next" და ბოლო ფანჯარაში "Finish";

ახალი ტოპოლოგია შექმნილია, გაიხსნება ახალი ფანჯარა და მისი დახმარებით დავამტკიცოთ ახლად შექმნილი ტოპოლოგია;




ტოპოლოგიის შექმნის შემდეგ გამოვიკვლიოთ რა ცვლილებები განიცადა მონაცემებმა;

გავხსნათ “ArcMap” და დავამატოთ ახლადშექმნილი ტოპოლოგიის ფენა, ამასთანავე :“roads”, “buildings”, “water areas”;

წითელი არეალები ასახვას პოტენციურ შეცდომებს, გავადიდოთ ისინი და გავერკვით რა პრობლემებია მათთან დაკავშირებით;

გავადიდოთ ორი მეზობელი შენობა, ისინი არ ემთხვევიან ერთმანეთს იმიტომ, რომ ჩვენ “Cluster tolerance” მივუთითეთ 0.09;


“Cluster tolerance” ფრთხილად უნდა შევარჩიოთ, დიდი ტოლერანსი გამოიწვევს ბევრი გერტექსის მისნებებას, რაც გამოიწვევს ობიექტის ფორმის ცვლილებას.



ესლა უფრო დეტალურად გავარჩევთ შეცდომებს.

მოვნიშნოთ “Editor Toolbar”---“Editor”---“Start editing”; ასევე “Editor Toolbar”-ში მოვნიშნოთ :More Editing Tool”---“Topology” და ახალი “Editing Tools” გაიხსნება;

მოვნიშნოთ “Error Inspector “ და ახალი ფანჯარა გაიხსნება, მოვნიშნოთ “must not overlap with water areas”, ამოვგროვთ “Visible Extend Only” და “Search Now”;




ერთი შეცდომა გაწნდება ჩამონათვალში, მარჯვენა ღილაკით დავაწეროთ და ჩამონათვალიდან მოვნიშნოთ “Zoom to”, ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ შეცდომას;

მოვნიშნოთ წესი: “Must be larger than the cluster tolerance”, ჩვენ ვიპოვით ორ პატარა შეცდომას, რომლებიც უფრო პატარაა ვიდრე მითითებული ტოლერანსი;

მოვნიშნოთ “Fix Topology Error Tool”  და მარჯვენა ღილაკით დავაწეროთ შეცდომაზე და წაგშალოთ;

შევეცადოთ გავასწოროთ დარჩენილი შეცდომები;



### საერთო საზღვრებზე და ვერტექსებზე მუშაობა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გეომონაცემთა ბაზები დამოკიდებულია შესაბამის ტოპოლოგიაზე, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ საერთო საზღვრები, როგორც ერთი საზი, მაგრამ სინამდვილეში ორი ერთმანეთზე მყოფი საზია. “ArcGIS” წარმოადგენს სპეციალურ იარაღებს, ობიექტთა საერთო საზღვრებთან სამუშოას, რომელიც ინარჩუნებს ობიექტთა მთლიანობას.

## მეზობელი შენობების საერთო საზღვრის მდებარეობის შეცვლა

“Start Editing”;


“Buildings” ფენა უნდა იყოს მითითებული “Target”-ში;

გავადიდოთ ორი მოსაზღვრე შენობა,მხოლოდ ეს შენობები უნდა იყოს გამსახული რუკაზე;

მოვნიშნოთ “Topology Toolbar”---“Map Topology”, ახლადგასწილ ფანჯარაში მოვნიშნოთ “buildings” და “Cluster Tolerance”---0.09, Ok; შემდეგ მოვნიშნოთ “Topology Edit Tool” და დავაწყიპოთ საერთო საზღვარზე, და ჩვებ შეგვიძლია დავინახოთ,რომ ამ საზღვრის ფერი შეიცვლება;

კურსორი მოვათავსოთ ზუსტად საზღვარზე და ვამოძრაოთ,გავაჩინოთ ოდნავ მარცხნივ;

შევინახოთ აღნიშნული ცვლილებები;



შევქმნათ ახალი წერტილლოვანი ობიექტთა კლასი ავტობუსის გაჩერებისთვის

შევქმნათ ახალი წერტილოვანი ობიექტთა კლასი ავტობუსის გაჩერებისთვის და გამოვიყენოთ X,Y კოორდინატები,რომ დავამატოთ ავტობუსის გაჩერებები ახალ ობიექტთა კლასს.

ამ ნაწილში ჩვენ შევქმნით ახალ წერტილოვან ტექსტთა კლასს,რომ განვათავსოთ ავტობუსის ორი გაჩერება.ორი ძირითადი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ ახალი ობიექტთა კლასის შექმნის დროს:პირველი -ფორმის ტიპი(წერტილოვანი,ხაზოვანი,პოლიგონალური) და მეორე- საკოორდინატო სისტემა.

### შევქმნათ ახალი წერტილოვანი ობიექტთა კლასი

გავხსნათ “ArcCatalog”, მოვნიშნოთ პერსონალური გეომონაცემთა ბაზა “Mywork”—“Mywork-dataset”,დავაწაპოთ მარჯვენა ღილაკით და ავირჩიოთ “New”---“Feature class”,ახალი ფანჯარა გაიხსნება, დავარქვათ სახელი “Busstops” და “Next”;

გაიხსნება შემდეგი ფანჯარა,რომელშიც პარამეტრებს არ ვცვლით,“Next”;

გაიხსნება ახალი ფანჯარა,სადაც ვანიჭებთ ფორმის ტიპს(წერტილოვანი,ხაზოვანი,პოლიგონალური) და სკოორდინატო სისტემას ახალ ობიექტთა კლასს;

შემდეგ “Finish”;

შევამოწმოთ გეომონაცემთა ბაზა “Mywork”;

გნახავთ,რომ ამ გეომონაცემთა ბაზაში ახალი წერტილოვანი ობიექტთა კლასი-“Busstops” გვაქვს.

კითხვა:

რატომ არ მივანიჭეთ “Busstops” ობიექტთა კლასს საკოორდინატო სისტემა?

რასაკვირველია ჩვენს მიერ ეხლა შექმნილი ობიექტთა კლასი ცარიელია. დავამატოთ წეტილოვანი ობიექტები უკვე ჩვენთვის ნაცნობი კოორდინატების დახმარებით.

გავხსნათ “ArcMap” დოკუმენტი;

დავამატოთ “Busstops” ობიექტთა კლასი;

“Start Editing”;

“Target”--- “Busstops”; “Task”----“Create New Feature”;

მოვნიშნოთ “Sketch Tool” დილაკი,დავაკლიკოთ მარჯვენა დილაკით და ავირჩიოთ ბრძანება: “Absolute x,y” ; გაიხსნება პატარა ფანჯარა და მასში შევიტანოთ შემდეგი მონაცემები:257134.30; 471885.22;

გავიმეოროთ იგივე პროცედურა მეორე წერტილისთვის(257171.48; 471881.15);

## დასკვნა

ამ სავარჯიშოში ჩვენ ვისწავლეთ როგორ უნდა ვმართოთ გეომონაცემთა ბაზა,როგორ უნდა შევიტანოთ გეოგრაფიული და ატრიბუტული მონაცემები; ესლა ჩვენ შეგვიძლია:

- შევქმნათ პესონალური გეომონაცემთა ბაზა;
- კოპირება გავუკეთოთ ობიექტთა კლასებს სხვა გეომონაცემთა ბაზაში;
- წავშალოთ ობიექტთა კლასი გეომონაცემთა ბაზიდან;
- რედაქტირება გავუკეთოთ გეოგრაფიულ ობიექტებს;
- შევქმნათ ტოპოლოგიური კავშირები გეომონაცემთა ბაზაში;
- შევქმნათ ახალი ობიექტთა კლასი;
- ავციფროთ გეოგრაფიული ობიექტები;

გარდა ამისა სხვა მრავალი საშუალებაა იმისა,თუ როგორ უნდა ვმართოთ, შევიტანოთ,რედაქტირება გავუკეთოთ მონაცემებს “ArcGIS”-ში.თუმცა ეს სავარჯიშო მოიცავს საკითხებს,რომლებიც ძალიან ძირეულია,რომ გავიგოთ “ArcGIS”-ის პრინციპები.მრავალი დამატებით გამოცდილებას შევიძინოთ ამ კურსის განმავლობაში.

აგრიფროთ სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტი,სხვადასხვა ფენის გამოყენებით.